მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში და მისი პრაქტიკაში რეალიზების სამართლებრივი პრობლემები

იოანე ბასილაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესიკ ქვარცხავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იოანე ბასილაია

2023 წელი 6 ივნისი

აბსტრაქტი

შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის. ქართულ სამართლებრივ სისტემაში, აღნიშნული პრინციპის დანერგვის დღიდან, ეტაპობრივად ხორციელდება მისი სრულყოფისაკენ გადადგმული ნაბიჯების ასახვა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იმ პრობლემატური საკითხების წარმოჩენა, რომლებიც ხელს უშლის ზემოაღნიშნული პრინციპის სათანადო რეალიზებას. ასევე, ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ამ პრინციპის განვითარების ისტორია ახალი საპროცესო კოდექსის მიღებიდან დღემდე და მოხდეს ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯების შეფასება. გარდა ამისა, ნაშრომი შეეხება იმ სამართლებრივი საკითხების ანალიზს, სადაც ბრალდებისა და დაცვის მხარე უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან და ყურადღება იქნება გამახვილებული ამის გამომწვევ მიზეზებზე. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ისტორიულ სამართლებრივი და ემპირიული კვლევის მეთოდები. ასევე, ანალიტიკური, შედარებითი მეთოდი. აღნიშნული ნაშრომიდან გამომდინარე განისაზღვრა ის სამართლებრივი საკითხები, რაც ხელს უშლის პრაქტიკაში ამ პრინციპის რეალიზებას. მოხდა იმ საკითხების ანალიზი თუ რატომ და რა მიზნით იმყოფებიან გარკვეულ შემთხვევებში ბრალდებისა და დაცვის მხარე უთანასწორო მდგომარეობაში სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას და ასევე ნაშრომში აისახა ამ პრინციპის განვითარების ისტორია მისი დამკვიდრების დღიდან დღეს არსებულ მდგომარეობამდე.

საკვანძო სიტყვები: შეჯიბრებითობა, თანასწორობა, ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

Abstract

The principle of competitiveness and equality is an important achievement of the Georgian criminal procedural legislation. In the Georgian legal system, since the introduction of the mentioned principle, the reflection of the steps taken towards its perfection is carried out step by step. as far as possible. Due to the relevance of the topic, the aim of the paper is to present the problematic issues in the Georgian Criminal Procedure Code that prevent the proper realization of the above-mentioned principle. Also, the aim of the paper is to present the history of the development of this principle from the adoption of the new procedural code to the present day and to assess the steps taken in this regard. In addition, the paper will deal with the analysis of those legal issues where the prosecution and the defense are in an unequal position, and attention will be focused on the causes of this. Historical legal and empirical research methods were used within the scope of the research. Also, analytical, comparative method. Based on the mentioned paper, the legal issues that prevent the realization of this principle in practice were defined. There was an analysis of the issues why and for what purpose the prosecution and the defense are in an unequal position in certain cases while conducting various investigative actions, and the paper also reflected the history of the development of this principle from the day of its establishment to the current situation.

Key words: competitiveness, equality, Georgian Criminal Procedure Code.

მადლობა

მადლობა ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბესიკ ქვარცხავას გაწეული დახმარების, რეკომენდაციებისა და მხარდაჭერისთვის.